

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტრედიინგ სოლუმენს გე

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2023	31.12.2022	გან. მუნიშვნები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39 600	225 479	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 449 407	-	10
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	50 214	463 496	4
მარაგები	-	-	
მზა პროდუქცია	-	-	
სხვა	-	-	
საინვესტიციო ქონება	-	-	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	-	
ბიოლოგიური აქტივები	-	-	
თვითღირებულების მოდელით	-	-	
გადაფასების მოდელით	-	-	
გუდვილი	-	-	
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	
ძირითადი საშუალებები	180 033	377 405	8ა
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	
სულ აქტივები	2 719 264	1 066 380	
საიჯარო ვალდებულება	-	14 502	
სავაჭრო ვალდებულებები	9 974	23 709	
ანარიცხები	-	-	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	40 290	
საგადასახადო ვალდებულებები	4 417	9 751	
გამომუშავებული შემოსავალი	-	1 125 586	10
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	
მიღებული გრანტები	-	-	
სხვა ვალდებულებები	-	26	
სულ ვალდებულებები	14 390	1 213 864	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	21 197	897	7
საემისიო შემოსავალი	-	-	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2 683 677	148 381	
გადაფასების რეზერვი	-	-	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	
სულ საკუთარი კაპიტალი	2 704 874	147 484	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 719 264	1 066 380	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტრეიდიგ სოლუმენს გე

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგი	2023	2022	განმ. მუნიშვნები
საქონლის გაყიდვიდან	–	–	
მომსახურების გაწევიდან	15 272 046	6 741 702	3ა
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	–	–	
სხვა	90	–	
საერთო მოგება	15 272 137	6 741 702	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	–	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(10 845 671)	(6 092 483)	3ბ
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(123 271)	(28 017)	
საპროცენტო შემოსავალი	–	–	
საპროცენტო ხარჯი	–	–	
იჯარის ხარჯი	(977 216)	(545 842)	3ბ
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(295 704)	(209 547)	3ბ
სულ საოპერაციო ხარჯები	(12 241 863)	(6 875 889)	
საოპერაციო მოგება	3 030 274	(134 187)	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	–	–	
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	–	–	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	–	–	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	–	–	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(59 251)	(14 194)	6
მიღებული დივიდენდები	–	–	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(138 965)	–	8ბ
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძ	2 832 058	(148 381)	
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2 832 058	(148 381)	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	–	–	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	–	–	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2 832 058	(148 381)	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტრეიდინგ სოლუმენს გე

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	- 403 551	750 368
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	197 370 -	377 405
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20 300 -	147 484
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	- 185 880	225 479
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	225 479	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის	39 599	225 479

დადასტურებულია გამოსაქვეყნად 20.09.2024 წელს.

დირექტორი

კირილ სკაჩკოვი

ხელმოწერა



ბუღალტერი

მარიანა მხითარაიანი

ხელმოწერა



განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტრეიდინგ ვიუ გე“ საიდენტიფიკაციო კოდი: 405514803 (შემდგომში - კომპანია) რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2022 წლის 17 მარტს). ოფისის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 70, სიტი თაუერი, მე-3 სართული. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სფერო (NAEC 62090). კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია - კირილ სკაჩკოვი, 76 4684379. ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

3. შემოსავლის და ხარჯის აღიარება.

ა) შემოსავლების აღიარება:

შემოსავლის ცნება მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას: კომპანიის შემთხვევაში ამონაგები წარმოდგენილია კონტრაგენტისთვის მომსახურების გაწევიდან და შესაბამისი ინვოისის გამოწერის საფუძველზე აღიარებული ამონაგები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტრედიდინგ სოლუმენს გე

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს შემოსავლის განმარტებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამონაგებს.

ბ) ხარჯების აღიარება:

ხარჯების ცნება მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში - საოპერაციო ხარჯები; და ზარალს, რომელიც აკმაყოფილებს ხარჯების არს, მაგრამ არ მიეკუთვნება საწარმოს საოპერაციო ხარჯებს. კომპანია აღიარებს მათ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად.

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

2023 წლის მანძილზე შპს ტრედიდინგ სოლუმენს გე-ში საშუალოდ დასაქმებული იყო 91 თანამშრომელი.

სახელფასო ხარჯი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თანამშრომელთა ხარჯი	2023	2022
წლის მანძილზე დასაქმებულების საშუალო რაოდენობა	91	49
ხელფასი	10 045 745.93	5 439 989.93
არამონეტარული სარგებელი	783 516.89	638 386.92
ტრენინგები	16 409.02	14 105.71

საოფისე იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის იანვრიდან -ოქტომბრის ჩათვლით კომპანიას გახსნილი ჰქონდა მეორე ოფისიც, რომლის ფართის დაბრუნება მეიჯარისთვის განხორციელდა 2023 წლის 1 ნოემბრიდან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია, იჯარით გათვალისწინებული ხელშეკრულებით, დროებით განკარგულებაში ფლობს ერთ ობიექტს (თბილისი, ვაჟა ფშაველას 70).

იჯარის ხარჯი წლების მიხედვით:

	2023	2022
საოფისე იჯარა	977 216.13	545 842.00

ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები - ოფისის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა რიგი ხარჯების გაწევა, როგორცაა ოფისის სისუფთავის დაცვა, საკანცელარიო ხარჯები, სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა და სხვა. ქვემოთ მოყვანილია ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების ცხრილი წლების მიხედვით

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2023	2022
პროფესიონალური მომსახურება	17530.99	64411.26
კომუნიკაცია	77633.18	34614.4
კომუნალური ხარჯები	42877.31	7314.39
სხვა საოპერაციო ხარჯები	155517.81	102871.95
წარმომადგენლობითი ხარჯი	2145	335

4. სხვა პირებზე ავანსებად გაცემული თანხები

ავანსებად გაცემულ თანხებში მოცემული ავანსები სავაჭრო ურთიერთობიდან გამომდინარეა და საიჯარო ავანსები. მათი გადანაწილები შემდეგი ხასიათისაა:

2022 წლის მდგომარეობით:

წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება - 49,553 ლარი

წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა - 413,943 ლარი

2023 წლის მდგომარეობით:

წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება - 8,046 ლარი

წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა - 42,167 ლარი

5. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ნასესხები სახსრები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები.

6. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის	ოფიციალური	გაცვლითი	კურსები:
--------	------------	----------	----------

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლისთვის	2,96	3,21
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წლისთვის	2,63	2,84

კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) :

კურსთა შორის სხვაობა	2023	2022
კურსთა შორის სხვაობის მოგება	244234.08	181 825
კურსთა შორის სხვაობის ზარალი	-303485.31	- 196 019
სულ	- 59 251	- 14 194

7. მფლობელთა კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები.

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დივიდენდი არ იყო გამოცხადებული/გაცემული.

2023 წლის 1 მარტს დამფუძნებლის და 100,00% წილის მფლობელის გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 20,300 ლარით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 21,196,83 ლარი.

8. ძირითადი საშუალებები.

ა) ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად იმყოფება კომპანიის მფლობელობაში/განკარგულებაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით. ყველა აქტივზე ცვეთის დარიცხვა, ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, წარმოებს წრფივად. საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 20%-იანი განაკვეთით, ავეჯი და სხვა ინვენტარი -20% სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებები -15 % განაკვეთით. ცვეთა ერიცხება აქტივს, რომელიც შესულია ექსპლუატაციაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტრეიდიგ სოლუმენს გე

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და

აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად. აღსანიშნავია რომ 2023 წლის ბოლოსათვის კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი

საშუალებები შემდეგ ნაირად გადანიჭილდა:

	ავჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2023 წლის 1 იანვარი	57356.8	312874.51	35190.6	405421.91
შეძენა	115687.22	239506.88	123261.81	478455.91
გასვლა	0	-546169.51	-110714.51	-656884.02
დეკემბერი 31, 2023	173044.02	6211.88	47737.9	226993.8
დაგროვილი ცვთა				
2023 წლის 1 იანვარი	-5685.66	-19088.18	-3243.24	-28017.08
წლიური ცვთა	-28702.5	17307.47	-7548.32	-18943.35
დეკემბერი 31, 2023	-34388.16	-1780.71	-10791.56	-46960.43
ნარჩენი ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერი	138655.86	4431.17	36946.34	180033.37

ბ) როგორც ცხრილში არის ნაჩვენები, 2023 წლის ნოემბრის თვეში კომპანიამ გაყიდა ოფისის აღჭურვილობის დიდი ნაწილი, რაც გამოწვეული იყო თანამშრომლების რაოდენობის შემცირებით და აღჭურვილობის განახლების უცილებლობით. ოფისის აღჭურვილობის რეალიზაციის შედეგად მიღებული ზარალი 38176,66 ლარი წარმოქმნილი ზარალი წარმოდგენილია 2023 წლის მოგება ზარალის მუხლში სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სადაც ასევე წარმოდგენილია იჯარით აღებული ფართის დაბრუნებისას ამავე ფართის კეთილმოწყობაზე გახარჯული თანხა - 102,388.18 ლარი.

9.რელევანტური გადასახადები.

კომპანია ნებაყოფლობით დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად 2022 წლის აპრილის თვეში. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მისი მომსახურების გაწევის ადგილს (სსკ-ს 162 1 , პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“) არ წარმოადგენს საქართველოს, ამავდროულად მომსახურების მიმღები დასაბეგრი პირია, შესაბამისად მის მიერ გაწეული ძირითადი მომსახურება დღგ-თი არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახდით დასაბეგრი ოპერაციები 2023 წლის მანძილზე კომპანიას არ ჰქონია. კომპანიის მიერ 2023 წლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხები შეადგინა: 2,174,748 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ქონების გადასახადი 2023 წლის ბოლოს შეადგინა: 2,783 ლარი

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

მეკავშირე საწარმო - საწარმო რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც ფლობს წილს ერთობლივ საქმიანობაში.

კომპანიის კონტრაგენტი წარმოადგენს მეკავშირე საწარმოს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული ჰქონდა ავანსი 411,187.00 აშშ დოლარის სახით, მეკავშირე საწარმოსგან, ავანსის თანხის მომსხურების მიწოდება განხორციელდა 2023 წლის იანვრის თვეში.

2023 წლის ბოლოს კომპანიას გააჩნია დებიტორული მოთხოვნა მეკავშირე საწარმოს მიმართ 910,723.62 აშშ დოლარის ოდენობით.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენებს მივაკუთნით კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან დროებით საქმიანობის შეჩერების გადაწყვეტილებას, რაც გამოწვეული იყო მენეჯმენტის რგოლში საკადრო ცვლილებით ასევე კომპანიის სპეციფიკიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო გახდა სამუშაო პროცესების და სტრუქტურის გადახედვა.